შეთანხმების ფურცელი

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის“ 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების მეექვსე ცვლილებაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. ამასთან, შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილების პროექტი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს რატიფიკაციას.	გათვალისწინებული იქნება
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ცვლილების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს შესწორებები, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 14 სექტემბრის №3573-IIს დადგენილებით. შესაბამისად, „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულებისა“ და „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ კანონის“ მე-20 მუხლის თანახმად, აღნიშნული ცვლილების პროექტი ასევე საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	გათვალისწინებული იქნება
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	მიგვაჩნია, რომ ცვლილებები დადებითად აისახება ოჯახური ძალადობის შემცირებაზე, რაშიც სახელმწიფოს მხარდაჭერა და ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი პოზიტიურ ჭრილში განიხილავს აღნიშნული შეთანხმების ვადის გახანგრძლივების საკითხს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა დაგეგმილი ღონისძიების წარმატებულად განხორციელება.	
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს სახალხო დამცველი	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	